ეროვნული ბიბლიოთეკა

# AMBASSADE DE FRANCE EN GÉORGIE

## Service Culturel

**Manifestations Culturelles**

**automne - 1999**

PROGRAMME

პროგრამა

# საფრანგეთის საელჩო საქართველოში

კულტურის განყოფილება

კულტურული ღონისძიებები

1999 წლის შემოდგომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# CALENDRIER

## PROGRAMME DES MANIFESTATIONS CULTURELLES
## AUTOMNE 99

| | |
|---|---|
| FIN SEPTEMBRE | Participation au Festival du cinéma européen avec 3 films:<br>- *Place vendome* de Nicole Garcia<br>-*Conte d'été* d'Eric Rohmer<br>- *Un air de famille* de Cédric Klapish |
| 14 - 15 OCTOBRE | Spectacle de Massimo Schuster<br>"Les trois Mousquetaires"<br>(au théâtre des Marionnettes de Rézo Gabriadzé<br>13, rue Chavtéli) |
| 21 - 22 octobre<br>(les dates sont susceptibles d'être modifiées) | CONFERENCE<br>de Serge Cordellier<br>Directeur de la Rédaction de "L'état de la France" aux Editions La Découverte<br>2 conférences sur l'un de ces trois thèmes:<br>- la fin de "l'exception française" -<br>- l'identité française entre ouverture et repli -<br>- la France, la construction européenne et la mondialisation |
| 25 - 30 OCTOBRE | Festival International de Jazz de Tbilissi<br>- en partenariat avec la Ligue des Professionnels de Géorgie -<br>Tournée d'Antoine Hervé (piano)<br>le 29 octobre , à la Grande Salle du Conservatoire de Tbilissi |
| 31 OCTOBRE | CONFERENCE DANSEE<br>par Wilfride Piollet<br>"Sur les traces des Dames Blanches"<br>(au Théâtre du Quartier de la Reine<br>10, rue Guia Abessadzé) |
| 1er - 5 NOVEMBRE | Ateliers de danse animés par Wilfride Piollet<br>-Etoile de l'Opéra de Paris, professeur au Conservatoire National Supérieur de Musique et de Danse de Paris<br>à l'Ecole chorégraphique de Tbilissi |
| 8 - 15 NOVEMBRE | Ateliers de danse animés par Pascaline Verrier, chorégraphe interprète<br>à l'Ecole chorégraphique de Tbilissi |
| 6 - 7 NOVEMBRE | Tournée du Centre Chorégraphique National de Tours<br>- Daniel Larrieu<br>"On était si tranquille"<br>à l'Opéra de Tbilissi<br>en partenariat avec l'AFAA , la région Centre et l'Association TATO |
| FIN NOVEMBRE | Exposition croisée d'une photographe géorgienne - Irène Abzandadzé et d'un photographe français - Jean-Pierre Surles<br>au Caravansérail |

PR 9 1/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალენდარი

## კულტურული ღონისძიებების პროგრამა
## 99 წლის შემოდგომა

| | |
|---|---|
| სექტემბრის ბოლო | ევროპული კინოს ფესტივალში მონაწილეობა 3 ფილმით:<br>- ნიკოლ გარსიას "ვანდონის მოედანი"<br>- ერიკ რომერის "ზაფხულის ზღაპარი"<br>- სედრიკ კლაპიშის "ოჯახური მოტივი" |
| 14 - 15 ოქტომბერი | მასიმო შუსტერის სპექტაკლი<br>"სამი მუშკეტერი"<br>(რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში, შავთელის ქუჩა n° 13) |
| 21 - 22 ოქტომბერს<br>(თარიღი შეიძლება შეიცვალოს) | გამომცემლობა "აღმოჩენის" "საფრანგეთის მიმოხილვის" რედაქციის დირექტორის - სერჟ კორდელიეს - ლექცია რომელიმე ჩამოთვილი თემებიდან<br>- "საფრანგეთის გამორჩეულობის" დასასრული -<br>- ფრანგული თვითმყოფადობა გახსნილობისა და ჩაკეტვას შორის -<br>- საფრანგეთი, ევროპული აღმშენებლობა და მონდიალიზაცია - |
| 25 - 30 ოქტომბერი | თბილისის ჯაზის საერთაშორისო ფესტივალი<br>- საქართველოს პროფესიონალთა ლიგასთან თანამშრომლობის ფარგლებში -<br>ანტუან ჰერვეს კონცერტი<br>29 ოქტომბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში |
| 31 ოქტომბერი | პარიზის გრანდ ოპერას ვარსკვლავის, პარიზის მუსიკისა სა ცეკვის უმაღლესი ეროვნული კონსერვატორიის პროფესორის -<br>ვილფრიდა პიოლეს ლექცია-დემონსტრაცია<br>"თეთრი ქალბატონების კვალდაკვალ"<br>სამეფო უბნის თეატრში<br>(გია აბესაძის n° 10) |
| 1 - 5 ნოემბერი | მასტერკლასები თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებისათვის პარიზის გრანდ ოპერას ვარსკვლავის, პარიზის მუსიკისა სა ცეკვის უმაღლესი ეროვნული კონსერვატორიის პროფესორის - ვილფრიდა პიოლეს ხელმძღვანელობით |
| 8 - 15 ნოემბერი | მასტერკლასები თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებისათვის ქორეოგრაფი და შემსრულებლის - პასკალინ ვერიეს ხელმძღვანელობით |
| 6 - 7 ნოემბერი | ტურის ეროვნული ქორეოგრაფიული ცენტრის დადგმა<br>"როგორ მშვიდად ვიყავით"<br>თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში<br>საფრანგეთის კულტურის განვითარების ფონდის AFAA-ს, ცენტრის რეგიონისა და ასოციაცია ტატოს თანადგომით. |
| ნემბრის ბოლო | ქართველი და ფრანგი ფოტოგრაფების - ირინა აბზაბდაძისა და ჟან-პიერ ქარვასლაში |

# CONFERENCE

ეროვნული ბიბლიოთეკა

les 21 et 22 octobre 1999
( dates susceptibles d'être changées)

## Serge Cordellier

à l'Université de Tbilissi
et à la Bibliothèque Nationale Publique

Serge Cordellier, Directeur de Rédaction de l'ouvrage «L'état de la France» aux Editions La Découverte donnera deux conférences à Tbilissi.

Ces conférences s'inscrivent dans le cadre d'un cycle de conférences transcaucasiennes à Bakou, Tbilissi et Erevan, sur les thèmes suivants:

- la fin de «l'exception française»
- l'identité française entre ouverture et repli
- la France, la construction européenne et la mondialisation

Ces différents thèmes permettront de présenter une large palette des tendances de fond qui travaillent la société et la culture françaises et de proposer une réflexion sur les évolutions sociétales et les changements qui marquent les représentations.

21 - 22 ოქტომბერს

## სერჟ კორდელიე

თბილისის უნივერსიტეტში და
ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში

ბატონი სერჟ კორდელიე გახლავთ გამომცემლობა «აღმოჩენის» (La Découverte) მიერ გამოცემული ნაშრომის -»საფრანგეთის მიმოხილვა» (L'état de la France ) რედაქციის დირექტორი. იგი ესტუმრება თბილისს ორი ლექციის ჩასატარებლად. ეს ლექციები წარმოადგენს იმ ლექციათა ციკლის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც იგი ჩაატარებს ამიერკავკასიის ქვეყნებში - ბაქოში, თბილისსა და ერევანში. წარმოდგენილ ლექციებში ბატონი კორდელიე შეეხება შემდეგ თემებს:

- «საფრანგეთის უპირატესობის» დასასრული
- ფრანგული თვითმყოფადობა გახსნილობასა და ჩაკეტვას შორის
- საფრანგეთი, ევროპული აღმშენებლობა და მონდიალიზაცია

მოყვანილ თემებში მომხსენებელი მსმენელს შესთავაზებს თავის მონაზრს საზოგადოების ევოლუციასა და იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც ხაზად გასდევს თანამედროვე საფრანგეთის საზოგადოებრივ და კულტურულ განვითარებას, რაც საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ საფრანგეთის კულტურასა და საზოგადოებაში მიმდინარე ძირეულ პროცესებს.

# ლექცია

les 16 et 17 octobre à 19 heures
le 18 octobre à 14heures

MASSIMO SCHUSTER
ET LA COMPAGNIE L'ARC-EN-TERRE
présentent:

## «Les trois Mousquetaires»

d'après Alexandre Dumas

mise en scène et interprétation

## MASSIMO SCHUSTER

assisté par Eric Poirier
Marionnettes dessinées par Paolo d'Altan
Construction du décor Georges Mosca

*au Théâtre des Marionnettes de Rézo Gabriadzé*
*( adresse: 25, rue Chavtéli)*

- à partir de 12 ans

*Narrateur, charmeur, bonimenteur et manipulateur de tous les personnages, Massimo Schuster fait revivre la grande affaire des ferrets de la Reine, sans oublier de ponctuer son récit d'allusions au monde d'aujourd'hui. Le décor mobile permet l'enchaînement des scènes à un rythme enlevé. Du rire, des larmes, des duels, des intrigues, des amours : tout virevolte, tout tourne.*

*L'esprit de Dumas est là, dans ces personnages à la fois fragiles et pleins de vie qui s'entrechoquent dans des scènes de duel et se côtoient délicatement dans des scènes d'amour.*



***

Issu de l'école d'Art Dramatique du Piccolo Teatro et du Bread and Puppet Théâtre de Peter Schumann, Massimo Schuster, metteur en scène et marionnettiste, est installé en France depuis 1975. Il y a créé sa compagnie: le Théâtre de l'Arc-en-Terre. Son travail se caractérise par des collaborations avec des peintres: Enrico Baj, Hervé Di Rosa, des écrivains tels que Anthony Burgess et des musiciens: Gino Negri, Lorenzo Ferrero, et par son attachement aux textes classiques, revus et adaptés.

Cette manifestation est organisée en partenariat avec le Théâtre des Marionnettes de Rézo Gabriadzé
Avec le concours de l'AFAA - Association Française d'Action Artistique



16 და 17 ოქტომბერს 19 საათზე
18 ოქტომბერს 14 საათზე

მასიმო შუსტერი
და
კომპანია «მიწის ცისარტყელა»
წარმოგიდგენენ
«სამი მუშკეტერი»
ალექსანდრე დიუმას ნაწარმოების მიხედვით

დამდგმელი რეჟისორი და შემსრულებელი

## მასიმო შუსტერი

ასისტენტი ერიკ პუარიე
მარიონეტების მხატვარი პაოლო დალტანი
დეკორაციის კონსტრუქტორი ჟორჟ მოსკა

*რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში*
*(მისამართი: შავთელის ქუჩა N 25)*

ასაკი - 12 წლიდან

*მთხრობელი, მომხიბლავი, ცოტა მატყუარა და ყველა პერსონაჟების მანიპულატორი, მასიმო შუსტერი ახალ სიცოცხლეს სძენს დედოფლის სამკაულების განთქმულ ამბავს. თავის თხრობაში იგი განზრახ ავლებს პარალელებს დღევანდელობასთან . მოძრავი დეკორაციების მეშვეობით იგი აღწევს სცენებისა და სურათების ელვისებურ ცვლას. სიცილი, ცრემლები, დუელები, ინტრიგები, სიყვარული - ყველაფერი ეს სრქეფს და ბრუნავს. დიუმას სულიც აქვე დატრიალებს, ამ პერსონაჟებსა და დეკორაციებში. პერსონაჟები კი თავის მხრივ - ასეთი ფაქიზები და სიცოცხლით სავსენი, ხვდებიან ერთმანეთს, ეჯახებიან კიდეც - დუელის სცენებში - ან უბრალოდ ეფერებიან ერთმანეთს - სასიყვარულო სცენებში.*

***

პიკოლო ტეატრო -ს (Piccolo Teatro) დრამატული ხელოვნების სკოლის კურსდამთავრებული და პიტერ შუმანის ბრედ ენდ პაპეტის თეატრ (Bread and Puppet Theatre) გამოვლილი, დამდგმელი რეჟისორი და მარიონეტისტი მასიმო შუსტერი 1975 წლიდან დაფუძვნდა საფრანგეთში. აქ მან ჩამოაყალიბა თავისი კომპანია: «მიწარტყელა» (ცისარტყელასთან ანალოგიით, ანუ მიწის ცისარტყელა). მისი ნამუშევრების დამახასიათებელი თვისებაა მხატვრებთან, მუსიკოსებთან და მწერლებთან მჭიდრო თანამშრომლობა - ესენი გახლავან მხატვრები ენრიკო ბაჟ (Enrico Baj) , ერვე დი როზა (Hervé Di Rosa) , მწერალი ანტონი ბურგესი (Anthony Burgess) და მუსიკოსები ჯინო ნეგრი (Gino Negri), ლორენცო ფერერო (Lorenzo Ferrero) - ისევე როგორც მისი ფაქიზი მოპყრობა კლასიკურ ლიტერატურულ ტექსტებთან. რა საკვირველია თავის შემოქმედებაში იგი ამ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ადაპტირებას უკეთებს.



ეს ღონისძიება ეწყობა რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრთან თანამშრომლობის ფარგლებში
საფრანგეთის კულტურის განვითარების ასოციაციის (AFAA) თანადგომით

le 31 octobre 1999 à 19 heures
au Théâtre du Quartier Royal
(10, rue Guia Abessadzé)

## CONFERENCE DANSEE

### «Sur les traces des Dames Blanches» par Wilfride Piollet

Après avoir fait ses premiers pas chez Irène Popard, Wilfride Piollet entre à l'âge de 12 ans à l'école de danse de l'Opéra National de Paris.

Nommée danseuse étoile en octobre 1969, elle danse le répertoire classique avec notamment Rudolf Noureev, Cyril Atanassof et Fernando Bujones.

Elle forme avec Jean Guizerix un couple pour la danse et pour la vie. Tous deux se sont ouverts aux créations contemporaines, celles de Merce Cunningham, de José Limon, de Paul Taylor...

Depuis quelques années Wilfride Piollet interprète également le répertoire baroque et Renaissance et signe ses propres recherches.

Elle enseigne depuis 1989 au Conservatoire National Supérieur de Danse de Paris.



En quatre chapitres - le merveilleux, l'état de tendresse, la blancheur, les gestes de l'envol - et à l'aide de documents appartenant à la Cinémathèque de la danse, Wilfride Piollet, se propose de suivre et de rapprocher quelques Dames Blanches qui ont jalonné le répertoire de la danse dans un souffle romantique.

«Blanches sont les Dames qui font rêver les petites filles admirant les ballets classiques: Sylphides, Willis, Cygnes, Ombres, elles ont en commun le fait de pouvoir s'élever dans les airs avec des gestes fluides, d'échapper aux lois de la gravité.



Bien que nous trouvions déjà dans certains ballets du XVIIIème siècle des personnages allégoriques appelés Sylphides, c'est surtout au XIXème siècle que sont apparues et se sont multipliées ces créatures féeriques.

En cette fin de XXème siècle, il est toujours demandé aux danseuses classiques d'être éthérées, du moins dans leur façon de bouger et leur apparence physique, voilà pourquoi nous nous sommes penchés vers les Dames Blanches du répertoire romantique et avons tenté de leur demander les secrets de cette danse légère.»

Wilfride Piollet

Avec le concours de l'AFAA - Association Française d'Action Artistique et l'Association d'Action Artistique TATO Cette manifestation est organisée en partenariat avec le Théâtre du Quartier Royal

AFAA

31 ოქტომბერს 19 საათზე
სამეფო უბნის თეატრში
(გია აბესაძის ქუჩა № 10)

## ვილფრიდა პიოლეს

წარმოდგენა

### «თეთრი ქალბატონების კვალდაკვალ»

პირველი საბალეტო ნაბიჯები ვილფრიდა პიოლემ ირენ პოპართან გადადგა, რის შემდეგაც 12 წლის ასაკში შევიდა პარიზის ეროვნული ოპერის საბალეტო სკოლაში.

1969 წელს მას მიენიჭა პარიზის გრანდ ოპერას ვარსკვლავის წოდება, რომელიც მან დაიმსახურა სპორტის სასახლეში ნაცეკვი ეტიუდებისათვის. კლასიკურ რეპერტუარში მას პარტნიორობას უწევენ სახელდობრ რუდოლფ ნურიევი, კირილ ატანასოვი, ფერნადო ბუხონესი.

ჟან გიზრიქსთან ერთად მან შეჰქმნა საცეკვავო წყვილი რომელიც გადაიზარდა ოჯახურ წყვილში. ეს დუეტი გაბედულად ეზიარა თანამედროვე ნაწარმოებებს, სახელდობრ მერს კენინგემის, ხოსე ლიმონისა და პოლ ტეილორის შემოქმედების სახით...

რამოდენიმე წელია ვილფრიდა პიოლე აგრეთვე ასრულებს ბაროკოსა და აღორძინების ხანის რეპერტუარს და ხელს აწერს საკუთარ ქმნილებებსაც.

1989 წლიდან იგი ასწავლის პარიზის ცეკვის უმაღლეს ეროვნულ კონსერვატორიაში. ამავე წელს მას მიენიჭა ღირსების ორდენის კომანდორის წოდება.

ოთხი საკითხის განხილვით - ჯადოსნური, სინაზე, სითეთრე, ფრენის მოძრაობები - და ბალეტის სინემათეკის დოკუმენტების მოშველიებით ვილფრიდა პიოლე, პარიზის გრანდ ოპერას ვარსკვლავი მოცეკვავე გვთავაზობს გავყვეთ და მიუახლოვდეთ რამოდენიმე დიდ თეთრ ქალბატონს, რომლებმაც თავიანთი ბრწყინვალე კვალი დასტოვეს რომანტიკულ საბალეტო რეპერტუარში.



თეტრი ფერისა არიან ის ქალბატონები, რომლებიც ოცნებათა სამყაროში უძღვებიან კლასიკური ბალეტით აღფრთოვანებულ პატარა გოგონებს: სილფიდები, ვილისები, გედები, ჩრდილები, რომელთა საერთო მახასიათებელი გახლავთ ჰაერში ფარფატის უნარი და ძალა გაექცნენ მიზიდულობის მარწუხებს.

მართალია მე18 საუკუნის ზოგიერთ ბალეტში უკვე ვხვდებით სილფიდებად წოდებულ ალეგორიულ პერსონაჟებს, მაგრამ ეს ფერიული ქმნილებები განსაკუთრებით მრავლად წარმოჩდნენ მე19 საუკუნეში.

მე20 საუკუნის ბოლოს კლასიკური ბალეტის მოცეკვავეებს ისევ მოეთხოვებათ ჰაეროვნება, ყოველ შემთხვევაში მოძრაობაშია და გარეგნულად, ამიტომაც გადავწყვიტეთ გვეთხოვნა რომანტიკული პერიოდის რეპერტუარის თეთრ ქალბატონებისათვის გაემხილათ ჩვენთვის თავიანთი ასერიგ მსუბუქი ცეკვის საიდუმლო.»

ვილფრიდა პიოლე

ღონისძიება ეწყობა საფრანგეთის კულტურის განვითარების ასოციაციის (AFAA) თანადგომით და სამეფო უბნის თეატრთან პარტნიორობის საფუძველზე

AFAA

Wilfride Piollet, professeur au Conservatoire National Supérieur de Musique et de Danse de Paris, et Pascaline Verrier, interprète de la Compagnie Christine Bastin, animeront des ateliers de danse pour les élèves de l'Ecole chorégraphique de Tbilissi.

du 1er au 6 novembre 1999

## WILFRIDE PIOLLET

Nommée danseuse étoile de l'Opéra de Paris en 1969, elle a dansé le répertoire classique avec, notamment, Rudolf Noureev, et a participé comme interprète aux créations de Merce Cunningham, Paul Taylor et Andy Degroat à l'Opéra de Paris. Depuis 1989 elle enseigne au Conservatoire National Supérieur de Musique et de Danse de Paris. En 1992 elle est nommée Commandeur de l'Ordre national du Mérite. En 1998 elle se produit à l'Opéra de Tbilissi dans des chorégraphies de Degroat, Larrieu, Lancelot avec Jean Guizerix et Jean-Christophe Paré.

du 8 au 15 novembre

## PASCALINE VERRIER

Chorégraphe et interprète. Elle s'initie à la danse à Londres et poursuit sa formation au Conservatoire de Musique et de Danse de Paris. Sa carrière professionnelle débute en 1977 avec le ballet Théâtre Russillo. Depuis, Pascaline Verrier poursuit une riche carrière alliant créations originales et travail pédagogique. Elle a collaboré avec des chorégraphes de notoriété internationale, parmi lesquels: Carolyn Carlson, Maurice Béjart, Daniel Larrieu et Christine Bastin. Pascaline Verrier s'est produite à plusieurs reprises à Tbilissi à l'occasion des deux dernières éditions du festival Gift dans des chorégraphies de Christine Bastin et de Daniel Larrieu. Parallèlement elle a animé des ateliers de danse à l'école chorégraphique de Tbilissi dont l'aboutissement fut la présentation d'une création originale au spectacle de fin d'études 1998 à l'Opéra de Tbilissi.



Avec le concours de l'AFAA - Association Française d'Action Artistique,
et de la Fondation SOROS «Georgia - Open Society» Ateliers de danse à l'école Chorégraphique de Tbilissi
et la Fondation d'action culturelle «TATO»



მასტერ კლასები თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში

ქალბატონი ვილფრიდა პიოლე, პარიზის კონსერვატორიის პროფესორი, და ქალბატონი პასკალინ ვერიე, კომპანია კრისტინ ბასტენის მოცეკვავე-შემსრულებელი, ჩაატარებენ მასტერ კლასებს თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებისათვის.

1-6 ნოემბერს

## ვილფრიდა პიოლე

1969 წელს მიენიჭა პარიზის გრანდ ოპერას ვარსკვლავის წოდება. იგი ასრულებდა კლასიკურ რეპერტუარს, სახელდობრ პარტნიორობას უწევდა რუდოლფ ნურიევს, მონაწილეობდა მერსე კენინგემის (Merce Cunningham) , პოლ ტეილორისა (Paul Taylor) და ენდი დეგროუთის (Andy Degroat) დადგმებში. 1989 წლიდან იგი ასწავლის პარიზის ცეკვისა და მუსიკის ეროვნულ უმაღლეს კონსერვატორიაში. 1992 წელს მიენიჭა ეროვნული ღირსების ორდენი. 1998 წელს იგი თანამედროვე ცეკვის სპექტაკლით წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე ოპერის სცენაზე ჟან გიზრიქსსა და ჟან-კრისტოფ პარესთან ერთად.

8 - 15 ნოემბერს

## პასკალინ ვერიე

ნიჭიერი ქორეოგრაფი და შემსრულებელი. ცეკვას ეზიარა ლონდონში, შემდეგ სწავლა განაგრძო პარიზის მუსიკისა და ცეკვის კონსერვატორიაში. მისი პროფესიული კარიერა დაიწყო 1977 წელს რუსილიოს თეატრის საბალეტო დასში (Théâtre Roussillo) . მას შემდეგ პასკალინ ვერიეს შემოქმედებითი გზა აღსავსეა ორიგინალური ნაწარმოებებითა და საინტერესო პედაგოგიური ნამუშევრებით. იგი მუშაობდა ისეთ საერთაშორისოდ აღიარებულ ქორეოგრაფებთან, როგორებიც გახლავთ კაროლინ კარსონი (Caroline Carlson) , მორის ბეჟარი (Maurice Béjart), დანიელ ლარიე (Daniel Larrieu) კრისტინ ბასტენი (Christine Bastin) . მოწყებული 1997 პასკალინ ვერიე მრავალჯერ წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე ფესტივალი «საჩუქარის» ორ უკანასკნელ გამოცემის ფარგლებში კრისტინ ბასტენისა და დანიელ ლარიეს ქორეგრაფ ასევე მან ჩაატარა მასტერკლასები თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებისათვის. ამ მასტერკლასების შემაჯამებელი ნაშრომი წარმოდგენილი იყო 1998 წლის გამოშვების სპექტაკლზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ღონისძიება ეწყობა საფრანგეთის კულტურის განვითარების ასოციაციის (AFAA), ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს (SOROS) და კულტურის განვითარების ასოციაცია «ტატოს» თანადგომით

les 6 et 7 novembre à 19 heures

à l'Opéra de Tbilissi

spectacle de danse contemporaine

## «On était si tranquille»

du Centre chorégraphique national de Tours

Par le goulot tranquille de cette fin de siècle moral et déchiré il est temps de faire vibrer les souvenirs de ce que nous étions, d'éveiller en nous ce petit paradis, jardin secret où nous fûmes l'espace d'un instant sans conscience.

Daniel Larrieu

Cette pièce a été créée au festival d'Avignon en 1998

*************

Sur scène, quinze interprètes, sept hommes, huit femmes. Un miroir tendu au sol rappelle le ciel intérieur d'une origine. On était si tranquille évoque un passé au présent, un temps d'avant l'incarnation, un espace-temps antérieur rejoignant le mystère de la vie.

Des sons du quotidien, le banal, l'information, les idées toutes faites, le commerce et l'argent, se frottent dans l'air; les corps, par jeu, y répondent - énergies légères et profondes.



Le jeu chorégraphique convie le spectateur au coeur d'une élaboration sans secret, pour un autre mystère: on était si tranquille...

***EXTRAITS DE PRESSE***

LE CADEAU COUSU MAIN DE DANIEL LARRIEU

*revue «Danser», septembre 1998*

... Pas de nostalgie, plutôt l'alchimie poétique d'un passé heureux émergeant dans le présent...

B. Bonis

LES «JE ME SOUVIENS» DU CORPS

revue «Nouvel Observateur», juillet 1998

... «On était si tranquille» - catalogue point trop raisonné d'émotions passées et de sensations fugaces, c'est une sorte de «Je me souviens», mais imprimé dans le corps. On y entre dans une ambiance exotique et chaloupée, vite relayée par les pages du «Magnificat» de Jean-Sébastien Bach. Le ton est donné par quatorze interprètes traversant l'oeuvre avec une grâce encore plus spirituelle que physique. Dans un décor à la froide élégance, savamment mis en lumière, dont le sol a les vertus du miroir, l'effet est assuré. Qu'une danseuse tende un fil, tout comme une Parque, que des couples se livrent à quelque pavane contemporaine, le charme opère où le silence a sa part. Et l'on ne s'étonnera pas que la nostalgie diffusée par une mélodie à trois sous s'allie sans heurts aux nobles accents du kantor de Leipzig...

..Larrieu vient de composer une pièce qui est le plus séduisant des divertissements...

...Sérieux et fantaisie ne sont pas contradictoires...

(Daniel Larrieu)





6 - 7 ნოემბერს 19 საათზე

ტურის ეროვნული ქორეოგრაფიული ცენტრის

თანამედროვე ცეკვის სპექტაკლი

## «როგორ მშვიდად ვიყავით»

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

ამ მორალისტ და გახლეჩილ საუკუნის ბოლოს, დროა გავაცოცხლოთ ჩვენი ვინაობის ხატი, ჩვენი განვლილი ცხოვრება, გამოვაღვიძოთ ჩვენში არსებული ეს მცირე სამოთხე, ჯადოსნური ბაღი, რომელშიაც, თუნდაც დროის უმნიშვნელო მონაკვეთში, ჩვენ ლაღად და უზრუნველად ვიყავით.

დანიელ ლარიო

*********

სცენაზე: თხუთმეტი შემსრულებელი - შვიდი მამაკაცი, რვა ქალი.

ძირს დაგებული სარკე ჩვენი შინაგანი სამყაროს ზეცას მოგვაგონებს. «როგორ მშვიდად ვიყავით» აცოცხლებს წარსულს, ინკარნაციამდელ მარადიულობას აწმყოში, როდისღაცამდელ დროსა და სივრცეს, რომელიც ერთვის სიცოცხლის საიდუმლოებას.

ყოველდღიური ხმები, ბანალურობა, ინფორმაცია, წინასწარ ჩამოყალიბებული გამზადებული აზრები, ვაჭრობა, ფული - ეს ყველაფერი დაფრინავს ჰაერში და ხვდება ერთმანეთს; სხეულები კი, გასაცინად, ეპასუხებიან მათ - ხდება ღრმა და მსუბუქი ენერგიების გადაკვეთა.

ქორეოგრაფიული ჩანაფიქრის თანახმად მოცეკვავეები ეპატიჟებიან მაყურებელს საიდუმლოების ფარდა ახდილი ქმედების შუაგულში, რათა მათაც განჭვრიტოს სხვა, განსხვავებული საიდუმლო - როგორ მშვიდად ვიყავით...

***ნაწყვეტები პრესიდან***

«დანიელ ლარიოს «ხელით შეკერილი» საჩუქარი»

*ჟურნალი «დანსი» (Danse)* , 1998 წლის სექტემბერი

... არავითარი ნოსტალგია, ეს წარმოდგენა უფრო მიაგავს ბედნიერი წარსულის აწმყოში ამოტივტივების პოეტურ ალქიმიას...

ბ. ბონისი (B. Bonis)

«სხეულის «მახსოვს»-ები»

*ჟურნალი «Nouvel Observateur»*, 1998 წლის ივლისი

«როგორ მშვიდად ვიყავით» - გახლავთ გარკვეული თვალსაზრისით სხეულებში აღბეჭდილი «მახსოვს»-ები , განცდილი ემოციებისა და გამოვლენილი გრძნობების ნაკლებად დინჯი კატალოგი. ჩვენ ვეფლობით ეგზოტიკურ, თბილ გარემოში, რომელშიაც მეგზურობას გვიწევს ჟან-სებასტიან ბახის «მაგნიფიკატი». ტონალობას იძლევა თოთხმეტი შემსრულებელი; ისინი ნაწარმოებს უფრო სულიერი ვიდრე ფიზიკური გრაციოზულობით კვეთენ. ხელოვანის მიერ პროფესიულად განლაგებული განათებით, ცივი ელეგანტურობით გამსჭვალულ დეკორაციებში, სადაც იატაკის საფარს სარკის თვისებები გააჩნია, ეფექტი გარანტირებულია. იქნება ეს მოცეკვავე, რომელიც ქსელებს აბავს, თუ პარკში მოსეირნე წყვილი, რომელიც აჰყვება რადიოდან გადმოდინებულ თანამედროვე პავანას, ხიბლი ჩნდება ყველგან, სადაც დუმილს თავისი ადგილი აქვს. და ნუ გაგვიკვირდება, თუკი ნოსტალგია, რომელსაც ჩვენში იწვევს სამგროშიანი მელოდია, უპრობლემოდ და ბუნებრივად უკავშირდება ლაიპციგის დიდი მომღერლის მედიდურ ჟღერადობას.

...ლარიემ შექმნა პიესა, რომელიც დღევანდელობის ყველაზე მომხიბლავ დივერტისმენტს წარმოადგენს...

...სერიოზულობა და ფანტაზიორობა სრულებითაც არ გამორიცხავენ ერთმანეთს...

დანიელ ლარიო



Daniel Larrieu

Fer de lance des années quatre-vingts, Daniel Larrieu, danseur passionné, aperçu un temps aux côtés de Régine Chopinot, se met à chorégraphier à partir de 1982. Bien lui en a pris, puisque Chiquenaudes, son premier opus, remporte le deuxième prix du Concours de Bagnolet. Avec La Peau et les Os, on le croise au Théâtre de la Bastille; Romance en stuc, en 1985 à Avignon, dévoile des préoccupations métaphysiques qui ne quitteront plus son oeuvre. Waterproof, pièce pour piscine et danseurs aquatiques, est un jeu étrange sur le silence et la distorsion des corps. Daniel Larrieu reçoit des commandes de William Forsythe, de Jiri Kylian, participe à des opéras et à des pièces de théâtre. Anima, en 1988, confirme son originalité de chorégraphe. A l'instar d'un Bagouet, Daniel Larrieu revendique un certain baroque moderne, comme dans Attentat poétique, imaginé pour l'Opéra de Paris, un étonnement surréaliste. Le chorégraphe est nommé directeur du Centre chorégraphique national de Tours, en décembre 1993.

Au Centre Chorégraphique de Tours, Daniel Larrieu anime également un festival: Choré-graphique à Tours, durant le mois de juin.

Sur le plan international, Daniel Larrieu situe son travail «dans la ligne des chorégraphes contemporains, dans une démarche d'études sur la perception du mouvement dans une relation plastique à la danse, dans une réflexion sur le rapport de l'incarnation dans l'espace de la scène». En 1996 le Centre chorégraphique s'est produit en Europe de l'Est et au Japon.

A partir des données culturelles du pays, Daniel Larrieu veut tendre vers un échange de points de vue par une pratique physique de la danse: la rencontre des techniques et de l'élaboration de matériaux dansés. C'est dans cette logique que les ateliers de danse avec des acteurs géorgiens ont été envisagés en juin dernier.

Ces ateliers avec les comédiens géorgiens ainsi que celui du chorégraphe géorgien - Tamaz Vachakidzé - ont emporté l'adhésion des professionnels français au festival de Montpellier danse.



Avec le concours de l'AFAA - Association Française d'Action Artistique et de la Région Centre.
Tournée organisée par la Fondation d'action culturelle «TATO»

დანიელ ლარიო - ოთხმოციან წლებში ქორეოგრაფიულ სამყაროში მომხდარი საფუძვლიანი გარდაქმნების მოწინავე მებრძოლი. ეს შესანიშნავი მოცეკვავე, რომელიც ერთ დროს ბრწყინავდა რეჟინ შოპინოს (Regine Chopinot) გარემოცვაში, თავის პირველ ქორეოგრაფიულ დადგმას ანხორციელებს 1982 წელს. ამ სარბიელზე ძალების მოსინჯვა ერთობ იღბლიანი გამოდგა, რადგან ლარიეს პირველი ოპუსი «წკიპურტები» ბანიოლეს ქორეოგრაფიული კონკურსის მეორე პრემიით დაჯილდოვდა. სპექტაკლით «კანი» და «ძვლები»

მას იხილავდით ბასტილიის თეატრში; 1985 წელს ავინიონში წარმოდგენილმა ნაწარმოებმა კი საბოლოოდ გამოამჟღავნა მისი სწრაფვა მეტაფიზიკისაკენ, სწრაფვა რომელიც მთელი მისი შემოქმედების მეგზური გახდა. წარმოდგენა «Waterproof »-ში, რომელიც შეიქმნა აუზისა და მოცურავე მოცეკვავეებისათვის, მან საინტერესოდ წარმოაჩინა სიჩუმისა და სხეულის არატრივიალური პლასტიკის შერწყმა. დანიელ ლარიე ასრულებს ვილიამ ფორსაიტის (William Forsythe) , ჟირი კილიანის (Jiri Kylian) შეკვეთებს, მონაწილეობას იღებს საოპერო და თეატრალური სპექტაკლების ქორეოგრაფიულ გაფორმებაში. 1988 წელს, სპექტაკლით «ანიმა» (Anima) მან საბოლოოდ დაიმკვიდრა ორიგინალური, თვითმყოფადი ქორეოგრაფის სახელი. ისევე როგორც დომინიკ ბაგუე (Dominique Bagouet) დანიელ ლარიე იღწვის ბაროკოს სტილის დასამკვიდრებლად თანამედროვეობაში, როგორც, მაგალითად «პოეტური თავდასხმა (Attentat poetique) , რომელიც შეიქმნა პარიზის ოპერის სცენისათვის და გამოიწვია მაყურებელთა მოულოდნელი აღტაცება. 1993 წელს დანიელ ლარიე დაინიშნა ქალაქ ტურის ეროვნული ქორეოგრაფიული ცენტრის დირექტორად.

ტურის ეროვნული ქორეოგრაფიული ცენტრში დანიელ ლარიემ დააარსა ფესტივალი: ტურის ქორე-გრაფიკა, რომელიც იმართება ივნისის თვეში.

თავის მოღვაწეობას საერთაშორისო სარბიელზე იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს: « მე მაინტერესებს თანამედროვე ქორეოგრაფების განვითარების გზა, ვსწავლობ ერისათვის დამახასიათებელი მოძრაობების კვალს და მათ კავშირს ადგილობრივ ქორეოგრაფიულ პლასტიკასთან».

1996 წელს ტურის ეროვნული ქორეოგრაფიული ცენტრი ეწვია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიას.

ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით დანიელ ლარიე ცდილობს გააბას დიალოგი ცეკვის, მისი ფიზიკური მხარის მეშვეობით: იგი ეძებს სხვადასხვა ტექნიკისა და ქორეოგრაფიული საშუალებების გადაკვეთის წერტილებს. სწორედ ამ სულისკვეთებით იქნება გამსჭვალული ის ცეკვის სახელოსნოები, რომლებსაც დანიელ ლარიე გაუძღვება თბილისში ქართველი დრამატული თეატრის მსახიობებისათვის.

ღონისძიება ეწყობა საფრანგეთის კულტურის განვითარების ასოციაციის (AFAA), ცენტრის რეგიონის (Region Centre) ერთობლივი ძალისხმევით.
გასტროლის ორგანიზატორი - კულტურის განვითარების ასოციაცია «ტატო»

FESTIVAL INTERNATIONAL DE JAZZ DE TBILISSI

le 29 octobre 1999 à 19 heures

Grande Salle du Conservatoire de Tbilissi
(billets disponibles aux caisses du Conservatoire, prix des places: de 2 à 15 laris)



En collaboration avec la Ligue des Professionnels de Géorgie

Renouant avec la tradition des festivals de Jazz en Géorgie, tradition remontant à 1985, la Ligue des Professionnels de Géorgie propose pour la saison 1999 un Festival International de Jazz qui aura lieu la deuxième quinzaine d'octobre. Antoine Hervé - célèbre compositeur et interprète de jazz se produira à Tbilissi à l'invitation de la Ligue des Professionnels et de l'Ambassade de France en Géorgie.

Antoine Hervé

Pianiste, compositeur, chef d'orchestre, directeur artistique et producteur, Antoine Hervé est un homme aux talents multiples.

Né à Paris en 1959, il fait ses études au Conservatoire de Paris où il étudie le piano, l'art de l'orchestration et la composition. Lauréat du Festival International de Jazz de La Défense, il commence sa carrière professionnelle à l'âge de 15 ans. Il crée par la suite sa propre maison de production - Philoe Music - pour laquelle il produira «Horizons» en duo avec Andy Emler et «Trio» avec M. Benita et P. Gritz. Il collabore aussi avec Radio France pour laquelle il créera l'orchestre «Bob 13». C'est avec ce dernier qu'il produit et enregistre 2 albums «Live in Paris» et «Tutti». Après avoir gagné, en 1985, le prix Django Reinhardt de l'Académie de Jazz, il est nommé en 1987, chef de l'Orchestre National de Jazz. Il le restera



29 ოქტომბერს 19 საათზე

თბილისის ჯაზის საერთაშორისო ფესტივალი

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
(ბილეთები იყიდება დიდი დარბაზის სალაროებში, ფასი: 2 - 15 ლარი)

საქართველოს პროფესიონალთა ლიგასთან თანამშრომლობის ფარგლებში

საქართველოს პროფესიონალთა ლიგამ აღადგინა თბილისის ჯაზის ფესტივალების ტრადიცია, რომელიც 1985 წლიდან მოდის. 1999 წლის სეზონისათვის ლიგას განზრახული აქვს ფრანგი ჯაზმენის - ანტუან ერვეს მოწვევა.

ანტუან ჰერვე

პიანისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკალური ხელმძღვანელი და პროდიუსერი - ანტუან ჰერვე - მრავალმხრივ შემოქმედი პიროვნებაა.

დაიბადა პარიზში 1959 წლის 20 იანვარს. რვა წლის ასაკში ანტუან ჰერვე იწყებს მეცადინეობას ფორტეპიანოში. სრული მუსიკალური განათლების მისაღებად სწავლას განაგრძობს პარიზის კონსერვატორიაში; ფორტეპიანოს სწავლობს პიერ საკანთან, არანჟირებას მარიუს კონსტანტთან, კომპოზიციას დანიელ ლეჟურთან, ჰენრი შალანთან, ჟან-კლოდ რეინოსთან და კლოდ ბალისთან.

ანტუანი ლა დეფანსის საერთაშორისო ჯაზის ფესტივალის პრიზიორია. იგი ამ ფესტივალზე წარსდგა პირველად საზოგადოების წინაშე თავის ორკესტრთან ერთად თხუთმეტი წლის ასაკში. შემდგომში იგი აფუძნებს თავის ხმის ჩამწერ სტუდიას - ფილოე მიუზიკს - სადაც წერს დუეტს ენდი ემლერთან ერთად - ჰორიზონტები - რასაც მოჰყვა «ტრიო» მ. ბენიტთან და პ.გრიტცთან ერთად.

საფრანგეთის რადიოში ანტუანი აფუძნებს ორკესტრს «ბობ 13», რომელთანაც ერთად მან ჩაწერა და გამოსცა ალბომი «Live in Paris» და «Tutti».

ჯაზის აკადემიის ჯანგო რეინჰარდის პრიზის მოპოვების შემდეგ, 1985 წელს, ანტუანი არის ჯაზის ნაციონალური ორკესტრის დირიჟორი 1987 - 89 წლებში. ამ პერიოდში ის მონაწილეობს საერთაშორისო ტურებში - 140-ზე მეტი კონცერტი მთლიან ორკესტრთან ერთად - მრავალ პრესტიჟულ შემსრულებელთან ერთად, რაც არაერთი საინტერესო ალბომის შექმნის მიზეზი გახდა, მათ შორის «ONJ 87» და «აფრიკული სიზმრები».

ანტუან ჰერვე გახლავთ ფილიპ დეკუფლეს ქორეოგრაფიული ნაწარმოების «ტუტის» მუსილის ავტორი, აგრეთვე მას ეკუთვნის ერიკ როშანის ფილმის «უმოწყალო სამყაროს» მუსიკა, მან დაწერა პარტიტურა «ბატონი ასტერისათვის» რომელსაც ასრულებდნენ ჟერარ პაკე და დი-დი ბრიჯუოთერი.

1990 წელს ანტუან ჰერვე აფუძნებს ასოციაცია «ჰექსამერონს», რომელიც ხელს

jusqu'en 1989. Ces deux années au sein de l'Orchestre National de Jazz lui permettront de prendre part à des tournées mondiales avec la participation exceptionnelle d'artistes prestigieux.



En parallèle il travaille pour le cinéma et la danse en composant la bande originale du film «Un monde sans pitié» d'Eric Rochant et la musique du ballet de Philippe Decouflé «Tutti».

En 1990, il fonde l'association «Hexameron» destinée à promouvoir toutes formes d'improvisation. Il crée de nombreux spectacles de musique et de danse, notamment «L'Opéra des Pékins» en collaboration avec Dominique Rebaud, «Sonate d'automne» avec Anne Carrie et «Mes bien chers frères», spectacle dans lequel il interprète des chansons composées par Serge Gainsbourg et par son propre frère François Hervé.

Compositeur inspiré, il compose un concerto pour trompette en hommage à Miles Davis ainsi que plusieurs oeuvres pour des formations telles que l' «Ensemble Inter-Contemporain» ou «Alternance». Fidèle à sa prédilection pour les duos, il se produit avec



Didier Lockwood et collabore avec Markus Stockhausen et Michel Portal.

Sa carrière de dimension internationale l'amène à collaborer avec, entre autres, des artistes tels que Dee-Dee Bridgewater, Gil Evans, Quincy Jones, Peter Erskine, Chet Baker, Martial Solal et Claude Nougaro.

Musicien ouvert et curieux de tout, inclassable... Antoine Hervé résume à lui seul l'esprit du jazz: vif, en constante mutation et toujours à la pointe.

უწყობს ყველა ფორმის იმპროვიზაციების განვითარებას. მან გაიცნო ბელგიელი თურქი მომღერალი ილდიზ იბრაჰიმოვა და ჩამოაყალიბა კვინტეტი, რომელთანაც ჩაწერა ალბომი «პარიზი-ზაგრები». ამავე პერიოდში ის ქმნის საინტერესო მუსიკალურ - ქორეოგრაფიულ წარმოდგენას «პეკინსების ოპერა» დომინიკ რებოსთან ერთად, «შემოდგომის სონატა» ან კერისტან ერთად და «ჩემი ძვირფასი ძმები», რომელშიაც იგი ასრულებს სერჟ გენზბურგისა სა თავისი ძმის, ფრანსუა ჰერვეს სიმღერებს.

ანტუან ჰერვე გახლავთ საყვირისათვის შექმნილი კონცერტის «მაილზ დევისის საპატივცემოდ» ავტორი, «დამწვარი სახლი» სიმებიანი კვარტტისათვის, «ტრანზიტი» ანსამბლ ინტერკონტემპორენისათვის. საკუთარი იდუმალი სულის ერთგული, ანტუანი გამოდიოდა დუეტში დიდიე ლოკვუდთან ერთად, თანამშრომლობდა მარკუს შტოკჰაუზენთან და მიშელ პორტალთან.

როგორც მისი საერთაშორისო მუსიკალური კარიერის ნაწილი, იგი მუშაობდა და იწერდა მუსიკას დი დი ბრიჯუოთერთან, გილ ევანსთან, კვინსი ჯონსთან, პიტერ ერსკინთან, ჩეტ ბეიკერთან, მარტიალ სოლალთან, კლოდ ნუგაროსთან და მრავალ სხვასთან ერთად.

მუსიკოსი, რომელიც გაურბის მუსიკალური გაყოფის ნებისმიერ ფორმას და გახსნილია ურთიერთობისათვის, ანტუან ჰერვე არის ცოცხალი სახელმძღვანელო: სიცოცხლით სავსე, მუდამ ცვალებადი და ყოველთვის განახლებული.

n 15/1581
PP 2248
ეროვნული
ბიბლიოთეკა



**Ambassade de France en Géorgie - Service Culturel**
**Adresse: 15, rue Goguéchvili, Tbilissi 380008**
**Tel.: 98 78 23 / 92 22 69**
**Fax: 92 21 85**
**E-mail: ambfrtbi@ti.net.ge**

საფრანგეთის საელჩო საქართველოში - კულტურის განყოფილება
მისამართი: თბილისი 380008, გოგებაშვილის ქ. 15
ტელ.: 98 78 23 / 92 22 69
ფაქსი: 92 21 85
ელ. ფოსტა: ambfrtbi@ti.net.ge